პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი შაბათი 3 თებერვალი № 29 (17374) ფასი 2 კაპ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ ᲛᲝᲒᲘᲬᲕᲓᲔᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘ�კᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜᲗ, — ᲛᲐᲠᲗᲚᲣᲚᲘ ᲚᲝᲒᲘᲙᲘᲗ ᲛᲘᲡᲪᲔᲗ ᲮᲛᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲢᲗᲐ ᲒᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ. ᲮᲛᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ — ᲗᲥᲕᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲗ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲜᲘ ᲮᲐᲠᲗ ᲝᲥᲢᲝᲛᲒᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ, ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐ, ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲓ ᲒᲐᲥᲕᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲨᲔᲐᲡᲮᲐᲗ ᲡᲙᲙᲞ XXV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ, ᲘᲡᲬᲠᲐᲤᲕᲘᲗ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲝᲗ, ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲓᲐ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲝᲗ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲐᲓ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲐᲓ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

მიმართვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ! ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝ!

1979 წლის 4 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები გაიმართება. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ქვეყნის ცხოვრებაში.

საარჩევნო კამპანია დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს და ცხადყოფს მშრომელთა მჭიდრო შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო, მოწმობს მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის საყოველთაო-სახალხო მოწონებასა და მხურვალე მხარდაჭერას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ისევე როგორც წინათ, არჩევნებს ეგებება უპარტიოებთან მჭიდროდ შეკავშირებული. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკი პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას განასახიერებს. ეს ერთიანობაა ყველა ჩვენი მიღწევის წყარო, კომუნიზმის სრული გამარჯვების გარანტია.

მოეთათბიროს მშრომელებს, დაეყრდნოს კოლექტიურ გამოცდილებას, მასების შემოქმედებითს ინიციატივასა და შეგნებას — ეს პარტიის ლენინური ტრადიციაა. და დღეს, როცა საბჭოთა ხალხს მიმართავს, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მოახსენოს ხალხს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ პერიოდში ქვეყნის განვითარების შედეგები, გაამახვილოს ყურადღება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანებზე.

ეს იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენებით აღსავსე წლები. გაიმართა სკკპ XXV ყრილობა, რომელმაც კომუნისტური აღმშენებლობის დიადი პროგრამა შეიმუშავა. გამოხატავდა რა ხალხის ნებას, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ახალი კონსტიტუცია — საერთო-სახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონი. სოციალიზმის მსოფლიო ისტორიულ მიღწევათა დამაჯერებელი დემონსტრაცია გახდა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულობა.

ყველანი ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში აშენდა მსოფლიოს პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება. ეს გამარჯვება მრავალმილიონიანი მასების ჭეშმარიტად ტიტანური გარჯის შედეგია. მასში ჩაქსოვილია ყველა თაობის საბჭოთა ადამიანების გონება და შრომა, ვაჟკაცობა და თავდადება, ცოდნა და გამოცდილება. სამშობლოს წარმატებანი იმედს გვინერგავს და ფრთას გვასხამს ახალი მიღწევებისათვის.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელებისას ჩვენმა ხალხმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა **საწარმოო ძალების** განვითარებაში. საბჭოთა ადამიანების გარჯით შეიქმნა გიგანტური საწარმოო პოტენციალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ ეკონომიკის თანამიმდევრული წინსვლა-განვითარება — ხალხის კეთილდღეობის ზრდის მთავარი ფაქტორი, ჯეროვან დონეზე ვიქონიოთ ქვეყნის თავდაცვა.

დინამიკურად ვითარდება სოციალისტური ინდუსტრია. 1974-1978 წლებში წარმოებულია 1,4-ჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე წინა ხუთწლეულში. მთელი მატების დაახლოებით ოთხი მეხუთედი შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით არის მიღებული.

სახეს იცვლის მშობლიური ქვეყანა. მწყობრში ჩადგა 1344 დიდი საწარმო. მათ შორის არის კამის საავტომობილო ქარხანა და „ატომმანქანა“, სომხეთის, ლენინგრადისა და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურები, უსტ-ილიმსკისა და ტოქტოგულის ჰიდროელექტროსადგურები, ორენბურგის გაზის კომპლექსი და ლებედინოს სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, მოგილოვის აბრეშუმის ქსოვილების კომბინატი, ტირასპოლისა და შახტის ბამბეულის კომბინატები, კურსკის ტყავის ქარხანა. თანამიმდევრულად ხორციელდება პარტიის კურსი, რომლის მიზანია განავითაროს ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგები, გაანმტკიცოს სათბობ-ენერგეტიკული ბაზა, შექმნას დიდი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, უწინარეს ყოვლისა, ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში. დამკვრელურად შენდება ბაიკალ-ამურის მაგისტრალი.

აქტიურად ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე ტექნიკური საფუძველზე ხორციელდება საწარმოთა რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება. ათვისებულია და დაწყებულია 16 ათასზე მეტი ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება.

განუხრელად ვითარდება სოფლის მეურნეობა. დიდი ღონისძიებანი ხორციელდება ამ დარგის გადასაქცევად ეკონომიკის მაღალგანვითარებულ სექტორად. ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ენერგოიარაღურვა. დიდი მასშტაბით მიმდინარეობს მიწების ქიმიზაცია და მელიორაცია, საერთო-სახალხო საქმე გახდა რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნა.

დიდი გამარჯვებით დაგვირგვინდა 1978 წლის მოსავლისათვის გაჩაღებული საყოველთაო-სახალხო ბრძოლა — პირველად არის მოწეული 235 მილიონი ტონა მარცვლეული. პურეულის წარმოებაში საგრძნობი წვლილი შეაქვთ ყამირის მეურნეობებს. კარგი საფუძველია შექმნილი მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მიღწეულს რომ აღნიშნავს, პარტია ამასთანავე ხედავს არსებულ ნაკლოვანებებსა და გადასაჭრელ პრობლემებსაც. ჩვენ მნიშვნელოვნად უნდა გავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილება ლითონსა და სათბობზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სრულვყოთ ტრანსპორტის მუშაობა, განვამტკიცოთ საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა, მომჭირნეობა გამოვიჩინოთ ყველაფერში, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა.

პარტიისა და ხალხის მორიგი ამოცანები ყოველმხრივ განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმებზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში განსაზღვრულია ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ზრდის უმნიშვნელოვანესი მიმართულებანი. მათი განხორციელება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თითოეული კოლექტივის, ყოველი საბჭოთა ადამიანის უპირველესი მოვალეობაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს მოუწოდებს ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. გადავაქციოთ 1979 წელი დამკვრელური შრომის წლად, გავაჩაღოთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლისა და მთლიანად მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის — აი ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი!

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲘᲣᲛ ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ, ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ. ᲮᲛᲐᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲔᲜ ᲠᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲢᲗᲐ ᲒᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ, ᲐᲛᲘᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡ�პᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲚᲐᲕᲔᲜᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲜᲘᲐᲦᲐᲒ ᲘᲖᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲐᲦᲛᲖᲠᲓᲔᲚᲝᲒᲘᲗᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲣᲮᲠᲔᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲮᲛᲐ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲣᲞᲐᲠᲢᲘᲝᲢᲗᲐ ᲑᲚᲝᲙᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲡ — ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲘᲪᲔᲗ ᲙᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲐᲣᲪᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲡ.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

კომუნისტური პარტია უურადღებას არ აკლებს **ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲩᲐᲑᲛᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲡ.**

მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევი კავშირი, რომელიც სსრ კავშირის სოციალურ საფუძველს შეადგენს, კიდევ უფრო მტკიცე და მკვიდრი გახდა. მიმდინარეობს ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის დაახლოების პროცესი, იზრდება ჩვენი საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება. სულ უფრო მეტად მტკიცდება მისი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა.

ახალი წარმატებანია მიღწეული პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებაში. განუხრელად მაღლდება ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონე. კიდევ უფრო ღრმად დამკვიდრდა ადამიანთა შეგნებაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ცხოველმყოფელი იდეები. იფურჩქნება და ყვავის ეროვნული კულტურები, რომლებიც ერთმანეთს ამდიდრებს და ერთიან საბჭოთა სოციალისტურ კულტურას ქმნის. კომუნისტური პარტია კვლავაც გაატარებს იმ ხაზს, რომ ყოველმხრივ განავითაროს და დააახლოოს ქვეყნის ყველა ერი და ეროვნება, განამტკიცებს მოძმე ხალხთა დიად და ურღვევ მეგობრობას, ჩვენს ერთიან, მძლავრ საბჭოთა კავშირს.

ცხოვრება ადასტურებს იმ უცილობელ უპირატესობებს, სოციალისტურ დემოკრატიას რომ აქვს ბურჟუაზიულთან შედარებით, რომელიც, ლენინის თქმით, ყოველთვის ვიწრო, თვალთმაქცური, ფლიდური, ყალბია, ყოველთვის რჩება მდიდართა დემოკრატიად და ღარიბთა მოტყუებად. იქ, კაპიტალიზმის სამყაროში, ძლიერდება ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაცია, დღენიადაგ ფეხქვეშ ითელება მშრომელთა უფლებები, მძვინვარებს ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, ქრონიკული უმუშევრობა. სისასტიკე და თვითნებობა, მშრომელ ადამიანთა ბედისადმი გულგრილობა, საზოგადოების ზნედაცემულობა — აი, რა არის თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება. ამიტომ განსაკუთრებით ცინიკურად გამოიყურება კაპიტალიზმის თავისუფალ საზოგადოებად წარმოსახვის ცდები. არა, კაპიტალიზმი — ეს არის საზოგადოება, რომელიც ადამიანის უფლებებს ახშობს. ეს არის უდღეური საზოგადოება!

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დროშა სოციალიზმის დროშაა. ისტორიაში პირველად, მხოლოდ სოციალიზმის დროს ხდება დემოკრატია ხალხის ხელისუფლება, სახალხო ხელისუფლება, მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია საიმედოდ უზრუნველყოს ადამიანთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობა, პიროვნების ნამდვილი თავისუფლება. მხოლოდ სოციალიზმი ამკვიდრებს დემოკრატიის პრინციპებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში.

(დასასრული მე-2 გვ.).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში ქ. თბილისში გასტროლების წარმატებისთვის ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1979 წლის 2 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ი. პ. ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠᲝᲕᲘᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის იანვარში ქ. თბილისში ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმატებულ გასტროლებთან დაკავშირებით თეატრის მთავარი რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი იგორ პეტრეს ძე ვლადიმიროვი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1979 წლის 2 თებერვალი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ა. გ. ᲤᲠᲔᲘᲜᲓᲚᲘᲮᲘᲡ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში წარმატებით გამოსვლასთან დაკავშირებით რსფსრ სახალხო არტისტი, ლენინგრადის ლენსოვეტის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობი ალისა ბრუნოს ასული ფრეინდლიხი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი თ. ᲚᲐᲨᲭᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ,
1979 წლის 2 თებერვალი.

ᲔᲥᲚᲕᲜᲔᲑᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲒᲛᲘᲠᲣᲚ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ

ვინ შეამკოს ღირსეულად!..

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲝ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ





ᲩᲕᲔᲜ თვალწინ დაიბადა ეს საოცარი მშენებლობა, დღეს მთელი რესპუბლიკის სიამაყედ რომ ქცეულა. მოითოკა შმაგი ენგური. მოითოკა, დაცხრა და ითოვინიერდა. ვინ შეეჩეოდა მის სიდიადესა და შეუპოვრობას? ჩვენი დღეების გმირებმა, ჯანმაგარმა, გულდიდმა ადამიანებმა, რომლებმაც ამირანივით გამოსტაცეს ამ პირქუშ მთებს მზე და სინათლე.

და გახდა ეს მრავალეროვანი, მრავალფეროვანი მშენებლობა ჩვენი მწერლების, მუსიკოსების, თეატრისა და კინოს ოსტატების, მხატვრების ერთ-ერთი მთავარი და სასურველი თემა. სწორედ მათ უნდა შეემკოთ ღირსეულად ენგურჰესის პამაკი. მშენებლების ყოველდღიური შემართება. ასეც მოხდა. ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენცია ცდილობს ვალში არ დარჩეს მშენებლებს. იქმნება ახალი ნაწარმოებები, რადგან ეს თემა საოცრად მასშტაბურია.

შარშან საქართველოს მხატვართა კავშირმა, ენგურჰესის მშენებლობის საამართველომ და პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა გამოაცხადეს კონკურსი ენგურჰესის მშენებელთა გმირული შრომის ამსახველი მონუმენტის შესაქმნელად. და აი, გუშინ საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა საკონკურსო პროექტების გამოფენა, რომელშიც ოცამდე ავტორი მონაწილეობს.

— ეს არის ერთი მონაკვეთი, — გვითხრა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ᲯᲐᲜᲑᲔᲠᲘᲫᲔ, — იმ მრავალფეროვანი სამუშაოებისა, რომლებიც ენგურჰესზე უნდა შეასრულონ ქართველმა მხატვრებმა. ჩვენ სპეციალური ჯგუფიც კი შევქმენით, რომელიც ამ საქმეს უხელმძღვანელებს. ენგურჰესამდე მისასვლელი გზა და მისი მიდამოები ხომ ჩვენი რესპუბლიკის სტუმრების, ტურისტების საჩვენებელი ადგილიც უნდა იყოს, ამიტომ მისი გემოვნებით გაფორმება საშური საქმეა.

საკონკურსო პროექტების გაფოფენა კარგა ხანს გასტანს, მას ნახავს და განიხილ დედაქალაქის საზოგადოებრიობა. გამარჯვებული მონუმენტი კი დაიდგმება ზუგდიდში იმ ადგილას, სადაც ენგურჰესისკენ მიმავალი გზა იწყება.

ავტორებს ნიჭი და უნარი არ დაუკლია, რომ ენგურჰესის სიდიადის ტოლფასი ყოფილიყო ყოველი ნაწარმოები. მაგრამ უნდა დაიდგას ერთი, ყველაზე ჭეშმარიტი და საუკეთესო, რომელიც ღირსეულად შეამკობს ენგურჰესელთა მართლაც ტიტანურ შრომას.

ვინ შეამკობს ღირსეულად? დაველოდოთ კონკურსის შედეგებს.

Თ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

□

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: გამოფენის ექსპონატები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ამომრჩევლისადმი, ყველა მოქალაქისადმი

(დასასრული)

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ მნიშვნელოვნად გააფართოვა და გაამდიდრა მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებანი და თავისუფლებანი. ამასთანავე, საბჭოთა ადამიანებისათვის უფლებები განუყოფელია მოვალეობებისაგან, თავისუფლება — მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისაგან, პირადი ინტერესები — საზოგადოებრივი ინტერესებისაგან.

ჩვენი წყობილების დემოკრატიზმს სულ უფრო სრულად განასახიერებენ თავიანთი საქმიანობით სახალხო დეპუტატთა საბჭოები, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ საბჭოების მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. იზრდება მათი როლი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში.

საბჭოების მილიონობით დეპუტატი და აქტივისტი დღენიადაგ ტრიალებს ხალხის შუაგულში, გადის სახელმწიფოებრივი მართვის სკოლას.

პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველნაირად აამაღლოს პროფკავშირების, კომკავშირის, ყველა მასობრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივის აქტიურობა, განავითაროს კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაითვალისწინოს და ყურად იღოს საზოგადოებრივი აზრი, გულისხმიერად ეკიდებოდეს მშრომელთა საჭიროებებს და მოთხოვნებს. ქვეყანაში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ხორციელდება საკანონმდებლო სამუშაოთა ფართო პროგრამა, ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი სახალხო კონტროლის გაძლიერებისათვის, სახელმწიფო დისციპლინის, კანონიერებისა და მართლწესრიგის უმკაცრესი დაცვისათვის.

კომუნისტური პარტია კვლავაც დაუცხრომელი ყურადღებით მოეკიდება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფას. ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს — ნიშნავს ხმა მივცეთ საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას, სოციალისტური სახალხო ხელისუფლების განუხრელ განვითარებას.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

ჩვენი აღმშენებლობის მთელი გამოცდილება გვარწმუნებს, რომ გზა, რომელსაც ჩვენ ვადგავართ, სწორი, ლენინური გზაა. იმისათვის, რომ ამ გზაზე ახალი წარმატებანი მოვიპოვოთ და უზრუნველვყოთ საპროგრამო მიზნების მიღწევა, **ჩვენ სრულად უნდა გამოვიყენოთ განვითარებული სოციალიზმის შესაძლებლობანი.** ამ შესაძლებლობათა რეალიზაციაში აქტიური მონაწილეობა კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა საბჭოთა ადამიანის ღირსების საქმეა.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საარსებო მნიშვნელობის ამოცანად მიაჩნია ის, რომ ყოველმა საბჭოთა ადამიანმა გამოიმუშაოს კომუნისტური მრწამსი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მზადყოფნა, მისწრაფება და უნარი — აშენებდეს კომუნიზმს;

განუხრელად იბრძოდეს შრომის ნაყოფიერების, ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდისათვის, ამაღლებდეს ურთიერთმომთხოვნელობას და პასუხისმგებლობას საერთო საქმისათვის, ავითარებდეს კოლექტივიზმისა და ამხანაგობის სულისკვეთებას;

ბეჯითად ეუფლებოდეს ცოდნას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, მოწინავე გამოცდილებას, იმაღლებდეს პროფესიულ ოსტატობას, იჩენდეს ინიციატივასა და ნოვატორობას;

ყველგან და ყველაფერში იჩენდეს ქვეყნის ბატონპატრონის გრძნობას, რაციონალურად იყენებდეს სახალხო სიმდიდრეს, ზოგავდეს ყოველ კილოგრამ მარცვლეულს, ლითონს, სათბობს, იცავდეს დედაბუნებას.

კომუნისტური პარტია გმირ მუშათა კლასს, სახელოვან კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას, ყველა საბჭოთა ადამიანს მოუწოდებს სულ უფრო ეფექტიანად იყენებდნენ საზოგადოების ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და სულიერ პოტენციალს; ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს — ნიშნავს ხმა მივცეთ ჩვენი სამშობლოს ახალ აყვავებას, მის ძლევამოსილ წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ძვირფასო ქალებო! საბჭოეთის სასახელო შვილებო!

დიდია თქვენი წვლილი საბჭოთა ხალხის მიღწევებსა და გამარჯვებებში. მშრომელი ქალისათვის, დედა ქალისათვის განუხრელი ზრუნვა ჩვენი საზოგადოების უცილობელი კანონია. ქალებს ფართო შესაძლებლობანი ეძლევათ საიმისოდ, რომ საწარმოო და საზოგადო საქმიანობა შეუხამონ შვილების აღზრდას, ოჯახისათვის ზრუნვას. პარტია და სახელმწიფო კვლავაც გაუმჯობესებენ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, უზრუნველყოფენ მათი როლის შემდგომ ზრდას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კომკავშირელებო, ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

თქვენ უფროს თაობათა გმირული საქმეების მემკვიდრენი და განმგრძობნი ხართ. ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დამკვრელურ უბნებზე არიან. მილიონობით ახალგაზრდა პირველად მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. პარტიას მტკიცედ სწამს, რომ კომკავშირელები, ქალიშვილები და ჭაბუკები ყველგან და ყველაფერში განუხრელად შეასრულებენ ლენინის ანდერძს, ღირსეულად ატარებენ საბჭოთა კავშირის მოქალაქის მაღალ წოდებას.

პატივცემულო რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო!

სამშობლოსა და პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულებით თქვენ ხალხის მოწიწება და პატივისცემა მოიხვეჭეთ. ბევრი თქვენგანი დღესაც შრომობს, მონაწილეობს საზოგადოებრივ მუშაობაში, ახალგაზრდობის აღზრდაში. ვეტერანებისათვის ზრუნვას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია პარტიისა და სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ საბჭოთა ქალები, ახალგაზრდები, ჩვენი ვეტერანები თავიანთ ხმას მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს, გამოიჩენენ მაღალ პოლიტიკურ შეგნებას, მისწრაფებას — ღირსეული წვლილი შეიტანონ კომუნისტური აღმშენებლობის საერთო საქმეში.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია უწინდებურად ყოველ ღონეს ხმარობს, რათა უზრუნველყოს **კომუნისტური მშენებლობის მშვიდობიანი პიროგები.**

სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია. ლენინური ზავის დეკრეტიდან დღემდე, საბჭოეთის საგარეო პოლიტიკა მშვიდობისმოყვარეობით არის გამსჭვალული. ჩვენმა ხალხმა, რომელმაც ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში 20 მილიონი მამულიშვილი დაკარგა, კარგად იცის, თუ რა არის ომი. და. ჩვენ ქვეყნად არ გვეგულება მტკიცე მშვიდობის შენარჩუნებაზე უფრო წმიდა საქმე!

პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად და წარმატებით ასახამენ ხორცს სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებულ მშვიდობის პროგრამას და ხალხთა მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც პარტიის XXV ყრილობამ მოიწონა. ქვეყნად მშვიდობა უფრო საიმედო გახდა, ხოლო ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა ახლა ისეთი მტკიცეა, როგორც არასდროს. სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას იწონებენ და ემადლიერებიან პლანეტის მთელი პროგრესული ძალები.

საბჭოთა კავშირმა წამოაყენა იმ კონსტრუქციულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა მიზანია განმტკიცდეს საყოველთაო მშვიდობა, გაღრმავდეს დაძაბულობის შენელება, შეწყდეს გამალებული შეიარაღება და მიღწეულ იქნეს განიარაღება, დამკვიდრდეს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. სსრ კავშირი დაუცხრომლად იბრძვის იმპერიალისტთა და პეკინელ ხელმძღვანელთა ცდების წინააღმდეგ, რომლებიც ისწრაფვიან გაამწვავონ საერთაშორისო ვითარება, უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი და კვლავ ააღორძინონ „ცივი ომი“. პარტიის მისწრაფება, საბჭოთა ხალხის მისწრაფება მშვიდობისადმი ურყევია.

განმტკიცდა მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები. ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა გმირი ვიეტნამელი ხალხის გამარჯვება, რომელსაც საბჭოთა კავშირი, მოძმე ქვეყნები უწევდნენ და უწევენ ყოველმხრივ დახმარებასა და მხარდაჭერას, სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახში შემოვიდა ლაოსის ხალხი. სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტები გახდა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირები, მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელთა ყირიმის შეხვედრები.

საბჭოეთი ერთგული და საიმედო მეგობარია აზია-აფრიკის და ლათინური ამერიკის ხალხებისა, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ და მხარს ვუჭერთ ანგოლის, ეთიოპიის, ავღანეთის, კამპუჩიისა და სხვა იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც რევოლუციურ-დემოკრატიული გარდაქმნების გზას დაადგნენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ავითარებს მოძმე პარტიებთან ურთიერთობას, ხელს უწყობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებას მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე.

პარტია კვლავაც იღვაწებს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, თანამედროვეობის მთელი რევოლუციური, პროგრესული ძალების შეკავშირებისათვის. ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს — ნიშნავს ხმა მივცეთ ჩვენ გედნიერ ცხოვრებას, ქვეყნად მშვიდობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ამავე დროს ყურადღებას არ აკლებენ ქვეყნის თავდაცვითი ძლიერებისა და მისი სასიქადულო შეიარაღებული ძალების განმტკიცებას. პარტიას სწამს, რომ არმიისა და ფლოტის მამაცი მეომრები კვლავაც ღირსეულად მოიხდიან თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ ვალს, ყოველნაირად აიმაღლებენ საბრძოლო მზადყოფნას, ფხიზლად იდგებიან სოციალიზმის რევოლუციურ მონაპოვართა სადარაჯოზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, სახელოვანო საბჭოთა მეომრებო, ხმა მისცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს. ამით თქვენ კვლავ გამოხატავთ უსაზღვრო ერთგულებას კომუნისტური პარტიის, სოციალისტური სამშობლოსადმი!

ამხანაგო ამომრჩევლებო!

ყველა ჩვენი მიღწევა და გამარჯვება კომუნისტური პარტიის — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის საქმიანობასთან არის დაკავშირებული. გაიზარდა პარტიის როლი და ავტორიტეტი, გაფართოვდა და განმტკიცდა მისი ურთიერთობა მასებთან. შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თავის XXVI ყრილობას.

ხელმძღვანელობს რა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებით, პარტია მტკიცედ მიუძღვის ხალხს კომუნიზმისაკენ. საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს მის ბრძნულ პოლიტიკას, ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელსაც ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო და მისი მეთაური — დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი, მშვიდობისა და კომუნიზმის დაუღალავი მებრძოლი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ კომუნისტური პარტია კვლავაც მუდამ უანგარიოდ ემსახურება ხალხს, დაუღალავად იბრძოლებს საბჭოთა ადამიანების გედნიერებისათვის, საუკეთესო სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგო ამომრჩევლებო!

საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევნები პირველი იქნება სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ. საარჩევნო კამპანია ხასიათდება საბჭოთა ადამიანების ქმედითი საქმიანობით, მაღალი აქტიურობით. წინასაარჩევნო კრებებზე მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი საკითხების საყოველთაო-სახალხო განხილვა, გამოთქვამენ შენიშვნებსა და წინადადებებს სახელმწიფო, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამომრჩეველთა განაწესების შესრულება პარტიული ორგანოების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოგიწოდებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქენო, ერთსულოვნად მისცეთ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა გლოკის კანდიდატებს. ხმის მიცემით თქვენ ერთხელ კიდევ ცხადყოფთ, რომ ერთგულნი ხართ ოქტომბრის საქმის, პარტიის საქმისა, მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი ხორცი შეასხათ სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობებს, ისწრაფვით იცხოვროთ, იშუაოთ და იბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად!

ყველანი არჩევნებზე!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს!

მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ხალხის ღირსეული წარმომადგენლები

1979 4 თებერვალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეა!

საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მიმდინარეობს საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები, სადაც რეგისტრაციაში ატარებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს კენჭი იყარონ მოცემულ საარჩევნო ოლქში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 482 სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ დეპუტატობის კანდიდატად გაატარა რეგისტრაციაში სოხუმის ტყავფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანების მკერავი **მარგო ხუტას ასული კვარჩია.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების №497 ქედის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომამ მიიღო დადგენილება, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად გაატაროს რეგისტრაციაში. სოფელ დანდალოს კოლმეურნეობის მეთამბაქოე **ნათელა აკიპის ასული ბალაძე.**

№ 165 თბილისის ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით თბილისის № 1 ექსპერიმენტული სკოლის პედაგოგი **ია მიხეილის ასული მანჯგალაძე** ამ ოლქში რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 191 ცხინვალის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა დაადგინეს, რომ ამ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად გაატარონ რეგისტრაციაში საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის ძე ინაური.**

№ 186 სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მწერალი **ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

№ 184 სიღნაღის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ნოდარ ამროსის ძე ჭითანავა.**

№ 168 ახალქალაქის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობის მწველავი **რუზან გურგენის ასული ხეჩოიანი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების № 670 სამტრედიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დეპუტატობის კანდიდატად გაატარონ რეგისტრაციაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი **ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ინოზემცევი.**

ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 167 ამბროლაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა ამ ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **თეიმურაზ ილიას ძე მოსაშვილი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების № 185 სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ თავის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატად გაატაროს რეგისტრაციაში ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი **ლევან გრიგოლის ძე ვარდოსანიძე.**

№ 498 ქობულეთის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი** რეგისტრაციაში გაატარეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. (საქინფორმი).

მიმდინარეობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

მიღება კრემლში

2 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების გარემო ბუნების დაცვის საგანგებო ადმინისტრატორი დუგლას კოსტლა, რომელიც მეთაურობს ამერიკის დელეგაციას, მოსკოვში მიმდინარე საბჭოთა კავშირ-ამერიკის გარემო ბუნების დაცვის დარგში თანამშრომლობის შერეული კომისიის მეშვიდე სესიაზე.

ა. ნ. კოსიგინმა აღნიშნა, თუ რა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ამერიკის თანამშრომლობას გარემო ბუნების დაცვის დარგში, შეეხო მისი შემდგომი განვითარების დიდ პოტენციურ შესაძლებლობებს. საუბრის დროს შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ზოგიერთ სხვა საკითხს.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. იზრაელი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში მ. ტუნი.

(საკდესი).

კვების მრეწველობის მუშაკთა ახალი მიჯნები

რესპუბლიკის კვების მრეწველობის მინისტრმა რ. ჰ. კოცელიმემ და სხვა ორატორებმა სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე ყურადღება დაუთმეს გადაუჭრელ პრობლემებსა და მუშაობაში არსებულ ხარვეზებს, გამოთქვეს წინადადებანი იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის კვების მრეწველობის მუშაკებს დაუსახეს სკკპ XXV ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ; მომდევნო პარტიულმა პლენუმებმა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ შეუწყნარებელია საწარმოთა მიერ გეგმებში გაუმართლებელი შესწორებების შეტანა მათი შემცირების მიზნით, რაც ჯერ კიდევ გრძელდება.

სხდომის მონაწილეთა სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საწარმოო ობიექტის მშენებლობასა და საექსპლოატაციოდ გადაცემაში ჩამორჩენამ. მაგალითად, სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობისადმი სამრეწველო გაერთიანებებისა და სამინისტროების სუსტი კონტროლის შედეგად დაირღვა სურამის მინის ქარხნის, ფოთის ჭურის ქარხნის, მეღვინეობის მრეწველობის მთელი რიგი საწარმოების მწყობრში ჩაყენების ვადები.

დამტკიცდა დარგის მუშაკთა 1979 წლის სოციალისტური ვალდებულებანი.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ა. ჩხეიძე. (საქინფორმი).

დეპუტატობის კანდიდატები — — —



იცნობდეთ — ნუგზარ გოგაძეა!

ნარკვევი — — —

მე მას პირველად შეგხვდი ამ ეშვილი წლის წინათ, შუახევის რაიონში შემოქმედებით მივლინებაში ყოფნის დროს. მთიანი რაიონის სოფლის მშრომელებზე ნარკვევი უნდა დამეწერა. მოვიარე სოფლები უჩაბა, ოლადაური, ტბეთი, გოგაძეები. ოქტომბრის თვე იყო, სოფლად შემოდგომის სურნელი ტრიალებდა. საღამოხანს ტბეთიდან გოგაძეებში წავედი. სოფლის საშუალო სკოლის წინ რამდენიმე კაცს წრეში ჩაეყენებინათ ერთი სრულიად ყმწვილი კაცი და ცხარედ კამათობდნენ. როგორც შემდეგ გავიგე, ის ყმაწვილი ნუგზარ გოგაძე იყო, რომელიც 1968 წლიდან, სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში მუშაობდა. იგი ძველ მეზობლებს ინტერესით მოუთხრობდა თავის დიდ კოლექტივზე.

მე მაშინ მის შესახებ არაფერი მითქვამს ჩემს ნარკვევში. ჩემი მიზანი იყო სოფლის მშრომელებზე, მწყემსებზე და მეცხოველეებზე, მიწის შვილებზე დამეწერა, მაშინ აზრადაც არ მომივიდოდა, რომ ექვსი წლის შემდეგ ნუგზარ გოგაძეზე დავწერდი ნარკვევს.

როგორც უკვე ვთქვი, მაშინ ბარაქიანი შემოდგომა იყო. ოქტომბერი ულამაზესი თვეა აჭარაში, ბუნება ზეიმობს თავის მაღლსა და ბარაქას, ზოგი მოსავალს აბინავებს, ზოგი ფარას მიუძღვება ალპური ზონიდან ბარად და ა. შ. ახლა კი ზამთარია, შუაზამთარი, როგორც ამბობენ ხოლმე. დიდი თოვლი მოვიდა აჭარაში, განსაკუთრებით მთებში. სოფელ გოგაძეებშიც დიდი თოვლი დადო.

ამჯერად შუახევის რაიონში არ მიწევს წასვლა. ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას ვეწვევი. ქარხნის პარტიულ კომიტეტში ნუგზარი ვეკითხე. მითხრეს, კარგ დროს მოხვედი, სწორედ შესვენება იწყება ახლაო. რამდენიმე წუთის შემდეგ პარტიული კომიტეტის მდივანი თ. ხახვა თავის კაბინეტში სპეციალისტებთან ახალგაზრდას შემოუძღვა.

— იცნობდეთ, ნუგზარ გოგაძეა! — მითხრა მან.

— მე თქვენ გიცნობთ, — მითხრა ახალგაზრდამ, როცა ჩემი თავი წარვუდგინე, — ჩვენ რამდენიმე წლის წინათ შევხვედით სოფელ გოგაძეებშიო, და მოიგონა ზოგი რამ ჩვენი მაშინდელი საუბრიდან.

შესაფერისი ადგილი მოვძებნეთ და სამახსოვრო სურათები გადავიღეთ. ნუგზარის ეს სურათიც იმ დღეს არის გადაღებული. ვფიქრობ, იგი დამეხმარება მისი ხასიათისა თუ პიროვნების ჩვენებაში, მეგზურობას გაუწევს ამ ნარკვევს მკითხველებამდე.

ჩვენი საუბარი მომავალ არჩევნებს შეეხებოდა. იგი ხომ არჩევნებრივი მოვლენაა ნუგზარის ცხოვრებაში. ამაზე ყველა საპატიო ნიშნის ორდენით რომ დააჯილდოვეს, თავისი კოლეგების წინაშე განაცხადა, ეს ჯილდო მარტო მე არ მეკუთვნის, იგი მთელი კოლექტივის დამსახურებაა, რადგან მან შემაძლებინა ყოველივე ის, რითაც დამაფასა პარტიამ და მთავრობამ.

ნუგზარი 35-ე დანადგარის ოპერატორია. ეს დანადგარი ყოველდღიურად უშვებს 1.020-1.025 ტონა მაღალი ოქტანის ბენზინს.

ნუგზარი დიდი მაღლიერებით იგონებს თავის მასწავლებლებს ვ. ყურშუბაძეს, შ. ვამაყმაძეს და სხვებს, რომლებმაც ჩაუნერგეს შრომის სიყვარული: ნუგზარმა იცის, რომ შრომა არის ყველა სიკეთის სათავე, ბედნიერებაც მხოლოდ შრომით შეიძლება მოიპოვოს კაცმა.

ბედნიერება რა არის-მეთქი, რომ ვკითხე, გაიღიმა, ბედნიერებაა, როცა ადამიანს საქმე დაუფასებდაო.

მაშ, თქვენ ბედნიერი ხართ-მეთქი.

ვარო, მიპასუხა.

ნუგზარი კარგი აზრისაა თავის თაობაზე, გამრჯე ახალგაზრდობა გვყავსო, გარდა მცირე გამონაკლისისა, მფარველი მამებისა და ბიძიების იმედის ანაბარა რომ არიანო.

დღეს დიდი მოძრაობაა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. თქვენს ქარხანაში როგორაა საქმე-მეთქი?

ამას წინათ გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ ამოვიკითხე, რომ ჩვენს რესპუბლიკაში თექვსმეტი ათასი კონტროლიორი ყოფილაო. თექვსმეტმა ათასმა კაცმა რომ პატიოსნად აკეთოს თავისი საქმე, ალბათ, ნეგატიური მოვლენებიც ნაკლებ იჩენდა თავს. ჩვენი კოლექტივი ეხლობა ხელმძღვანელობას და იმედის თვალით შეჰყურებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე კარგად მიდისო.

ნუგზარი ორი შვილის მამაა. პატარა ჯუმბერი და შორენა ჩემი რწმენის კედლებიაო. მინდა პატიოსანი მშრომელები გავუზარდო სამშობლოს, ცხოვრების გზა კი... დაე დაიზარდონ და თვითონ აირჩიონ, ჩემი ვალია მხოლოდ გზაზე სწორად სიარული ვასწავლოო.

უსმენ ცხოვრებაში ახლად, მაგრამ მძლავრი ნაბიჯებით შემოსულ კაცს და გჯერა, რომ მისი სიტყვა ლიტონი დაპირება არ არის.

მაგონდება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სიტყვები, „ყამირში“ რომ წერს, ვმირები ჩვეულებრივად უბრალო ადამიანები არიან, ცხოვრობენ და შრომობენ უხმაუროდ, ზარ-ზეიმის გარეშე, „თითქმის შეუმჩნეველნი არიან. ისინი უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებენ თავიანთ საქმეს“.

ნუგზარიც ასევე უპრეტენზიოდ, უბრალოდ და უსიტყვოდ აკეთებს თავის საქმეს.

გამომშვიდობებისას მითხრა, ჟურნალისტებს ხანდახან ზედმეტი ეპითეტები გიყვართო, ისეთი რამ არ დაწეროთ, რომ გაგწითლდეო.

შევპირდი, ყველაფერი რიგზე იქნება-მეთქი.

მეც აქ დავსვი ბოლო წერტილი და ნარკვევს დავწერე სათაური: „იცნობდეთ — ნუგზარ გოგაძეა“.

ზოთა ზოიძე.

ძ. ბათუმი.

სოციალისტური ცხოვრება

პარტიული ცხოვრება

კომუნისტმა აზრი გამოთქვა...

საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ

ერთ თვეზე ცოტა მეტი გავიდა ტყიბულის საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ, რომლის დელეგატებმა კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ილაპარაკეს განვლილ საანგარიშო პერიოდში ტყიბულელი მშრომელების, კომუნისტების მიერ გაწეული მუშაობის ავ-კარგზე, კმაყოფილებით აღნიშნეს მიღწეული წარმატებები, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე, მათი გამოსწორების გზებსა და საშუალებებზე გაამახვილეს.

როგორც ამ ჩვენს ფორუმზე აღინიშნა, საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით კი შარშან, ყველაზე დიდი ჩავარდნა ქვანახშირის მრეწველობაში გვქონდა. სახალხო მეურნეობას დაეკარგა 15.700 ტონა საკოქსე კონცენტრატი. ორმა შახტმა და ცენტრალურმა გამამდიდრებელმა ფაბრიკამ ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმები და ქვეყანას 914 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს. ამის შესახებ დიდი გულისტკივილით ილაპარაკეს მოწინავე მეშახტემ ლ. კირკიტაძემ, შახტის დირექტორმა გ. წაქაძემ, პარკშეიდერმა ვ. ხოლოშენკომ, ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მემანქანემ ე. ბოჭორიშვილმა და სხვებმა. მათ სწორად შეაფასეს შექმნილი ვითარება, საფუძვლიანად გააანალიზეს მიზეზები, დასახეს მდგომარეობის გამოსწორების გზები.

ქალაქისა და მისი ზონის მშრომელებისათვის, კომუნისტებისათვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს ავრეთვე დელეგატებმა ქ. ბეშკენაძემ, ჯ. გაბაადაძემ, ვ. სახვაძემ, ა. ქოჩიაშვილმა, ზ. გვენეტაძემ, რ. გაბრიჭიძემ, პ. ბერეკაშვილმა და სხვებმა. მათ მიერ გამოთქმული ყველა მნიშვნელოვანი აზრი სათანადოდ აისახა კონფერენციის დადგენილებაში, რომელიც მიმდინარე საანგარიშო პერიოდში პარტიის ქალაქკომის, თითოეული პირველადი პარტორგანიზაციის სამოქმედო პროგრამაა.

იქ მიზნით, რომ უყურადღებოდ არ დარჩეს კონფერენციაზე გამოთქმული არც ერთი მნიშვნელოვანი წინადადება, სრულად განხორციელდეს იქ მიღებული დადგენილების ყოველი პუნქტი, პარტიის საქალაქო კომიტეტმა მეტად ოპერატიულად შეიმუშავა ღონისძიებათა გეგმა, ქალაქის პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე გამოთქმული ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნისა და წინადადებების გამო კი უკვე ბევრი რამ პრაქტიკულად განახორციელა. მაგალითად, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, რომლებიც აღინიშნა კონფერენციაზე, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ თანამდებობიდან გაათავისუფლა კავშირგამბმულობის ტექნიკური კვანძის უფროსი ი. ბერიგაძე და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა მომარაგების განყოფილების საზოგადოებრივი კვების სექტორის უფროსი ფ. რიგინი, ხოლო კავშირგამბმულობის, პურკომბინატისა და სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მთელ რიგ ხელმძღვანელებს დაედოთ პარტიული სასჯელი. პარტიის საქალაქო კომიტეტის სამუშაო პერსპექტიული გეგმა ახალი საანგარიშო პერიოდისათვის კონფერენციაზე წოწონებული დადებითი გამოცდილების და იქ აღნიშნული ნაკლოვანებების გათვალისწინებით შეგადგინეთ.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტმა გააძლიერა ყურადღება რეკონსტრუქცია-გაფართოების გზით სამრეწველო წარმოების გადიდებისადმი, სწორედ ამიტომ იყო, რომ მეათე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში ჩვენს ქალაქში სამრეწველო პროდუქციის გამოშვება ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 17 პროცენტის ნაცვლად 18,5 პროცენტით გაიზარდა.

დიახ, მიღწევები არის, მაგრამ, როგორც პარტიულ კონფერენციაზე ითქვა, ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვი გვაქვს. ამიტომაც პარტიის საქალაქო კომიტეტის პერსპექტიულ სამუშაო გეგმამი ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად კვლავ გავითვალისწინეთ ამ გზით წარმოების მოცულობის შემდგომი გაფართოების საკითხები მეათე ხუთწლედის გეგმით ჩვენი რესპუბლიკისათვის განსაზღვრული ზრდის ტემპის შესაბამისად. 1979-80 წლებში გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება მოქმედი შახტების ახალი სიმძლავრეების ამუშავების შედეგად. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი შახტი „კომკავშირული“, რომელიც წლეულსვე 100 ათას ტონაზე მეტ ქვანახშირს მისცემს სამშობლოს.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიის საქალაქო კომიტეტმა კომუნისტთა კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით დასახა. ეს შენიშვნები და წინადადებები ცალკე შეგკრიბეთ, გავაანალიზეთ, განვსაზღვრეთ ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა უშუალოდ შახტების დირექციებს და პარტორგანიზაციებს დაევალათ. პარტიის საქალაქო კომიტეტის კომპეტენციაში შემავალი საკითხები პერსპექტიულ სამუშაო გეგმაში შეიტანეთო, ხოლო მათი ერთი ნაწილი სათანადო რეკომენდაციისა და დახმარებისათვის საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირს“ და რესპუბლიკის სხვადასხვა სამინისტროს და უწყებას გადავუგზავნეთ.

კონფერენციამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთი პრობლემური საკითხი, რომელთა გადაჭრისათვის პარტიის საქალაქო კომიტეტი ყოველ ღონეს ხმარობდა, ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ერთ-ერთი ასეთი პრობლემაა მეცხოველეობის განვითარება. მართალია, ჩვენთან მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ნაკლოვანება გვაქვს. ამიტომაც გადავწყვიტეთ ამ დარგში მთლიანი რეორგანიზაცია. ზოგი რამ უკვე გაკეთდა და, თუმცა ცალკეული შეცდომები კიდევ გვაქვს, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ დასახული ღონისძიებების შესრულებისათვის თანამიმდევრული ბრძოლა და, რაც მთავარია, შესრულების სისტემატური შემოწმება და კონტროლი სულ მალე ჯარგ ნაყოფს გამოიღებს.

ეს უკანასკნელი, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პირობაა. პარტიის საქალაქო კომიტეტი ითვალისწინებს, რომ მთელი ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფასთან ერთად სულ უფრო უნდა დავხვეწოთ შესრულების კონტროლი, გავზარდოთ მისი მნიშვნელობა და ეფექტიანობა. ამ მიზნით ბოლო წლების განმავლობაში კონტროლის ბევრი ფორმა გამოვიყენეთ შევისწავლეთ და ჩვენს მუშაობაშიც დავნერგეთ რესპუბლიკის მოწინავე პარტიული კომიტეტების მიერ ამ მხრივ შეძენილი ზოგიერთი დადებითი გამოცდილება. მაგრამ ამასთან დავრწმუნდით, რომ მიღებული დადგენილებების და დავალებების ზუსტი აღრიცხვა, მათზე ჭაფიო საბარათო ან სხვა თვალსაჩინო სისტემის შემოღება, შემსრულებელთა პერიოდული შეხსენება და ასე შემდეგ საქმის მხოლოდ ერთი მხარეა და საბოლოო შედეგზე სასურველ გავლენას ვერ ახდენს. აუცილებელი იყო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ღრმად ჩავწვდომოდით საკითხის არსს, მისი განვითარების დღეგანდელ დონეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაგვწყვეტა, თუ როგორ მოვქცეულიყავით.

როგორც გამოცდილებით დავრწმუნდით, ამის ძიღწევა უფრო მეტად არის შესაძლებელი საქალაქო კომიტეტის ბიუროზე, აპარატის მუშაკთა თათბირზე, საკითხის შესწავლაში მონაწილე მუშაკებთან კოლექტიური მსჯელობისას, შესრულების შემოწმების და კონტროლიდან მოხსნის ასეთ ფორმას სულ უფრო ხშირად მივმართავთ ამ ბოლო დროს. პარტიულ კონფერენციაზე გამოთქმული ყველა კრიტიკული შენიშვნის, კონფერენციის, დადგენილების ყველა კონკრეტული პუნქტის და მოთხოვნის შესრულებისათვისაც ამიერიდან სწორედ ასეთი კონტროლი იქნება დაწესებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონფერენციის შემდეგ თვეზე მეტი გავიდა. ეს დრო სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ სრულად გააანალიზო და გააანალიზო აქ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, განსაზღვრო მუშაობის ახალი მიმართულებები, გამოიტანო პირველი დასკვნები იმის თაობაზე, თუ რა გავლენა მოახდინა კონფერენციამ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მთელ მუშაობაზე. დღეს შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ ეს გავლენა მხოლოდ დადებითია. ქალაქისა და მისი ზონის ყველა პირველადს პარტორგანიზაციაში უფრო გააქტიურდა პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა, გაძლიერდა ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, შრომითი კოლექტივები ახალ წარმატებებს აღწევენ. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ახალი, 1979 წელი კარგად დაიწყეს ჩვენმა სახელოვანმა მეშახტეებმა. წლის პირველსავე სამუშაო დღეს ქვანახშირის პირველი ზეგეგმითი ტონები მოიპოვა ქ. ტყიბულის ყველა შახტმა. კარგად მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება. იანვრის პირველ ნახევარში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით თითოეულ ფურზე მიღებულია 10 კილოგრამით მეტი რძე, მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება.

ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ტყიბულელი მშრომელები პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წელს უკეთეს შედეგებს მოიპოვებენ სკკპ XXV ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის გზაზე. ამის უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე დელეგატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების დროული განხორციელება.

გ. ფხაკაძე,

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პლენუმი

შუახევი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის შუახევის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო **ნ. მ. ცეცხლაძე** გაათავისუფლა პარტიის შუახევის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან.

პარტიის შუახევის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია **მ. ხ. ჰალალიძე** და გაათავისუფლა იგი პარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივნის მოვალეობისაგან.

პარტიის შუახევის რაიკომის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია **შ. ხ. მაკარაძე.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის აჭარის სოლ.ოქ კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. რ. პაპუნიძემ.**

რაც თბილისელს გულსა სტკივნს

ისევ მშენებლობა:



— მე რა ვქნა, ბაბუას სანატორიუმს ვუშენებდით და მასალა არ გვეყო. (ზემოთ).

— ხომ გაგაფრთხილე, უხარისხოდ ნუ აშენებ, დაგენგრევა-მეთქი. (ქვემოთ).

გ. ფირცხალავას ნახატები.

ლონდონი, ვაშინგტონი, ბონი, ტოკიო, ოტავა, ... ეხმაურებიან

ლონდონი, 1 თებერვალი. (საკ.დესი). ინგლისის საგარეო საქმეთა და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი დ. ოუენი დღეს [illegible] შეერთებულ შტატებში [illegible] ლონდონის პრესა იტყობინება, განსახილველ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ბედნიერების სასახლე

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — საბანკეტო დარბაზის ერთი ნაწილი, ქვემოთ — ბედნიერების სასახლის ხედი.
— გ. ᲒᲝᲒᲝᲮᲘᲐᲡ ფოტო. —

ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲗᲔᲚᲔᲗᲣᲠᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲘ?

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რომ გასცდებით, ფონიჭალასაც უკან მოიტოვებთ და კუმისის ტბისაკენ აიღებთ გეზს, თვალის ერთი გადაგლებითაც არა გვგონია იქაურობის უმაყოფილო დარჩეთ. თეთრ სამოსელში გახვეული მიდამო, შავნაბადას ფერდობები, მარად მწვანე ნარგავები და, რა თქმა უნდა, მზის სხივებით მოელვარე ტბა ჩინებულ კოლორიტს ქმნის.

დიახ, აქ სანახავიც ბევრია და დასამახსოვრებელიც, მაგრამ არ შეიძლება გულგრილი დარჩეთ და მზერა არ მიაყოროთ ერთ დიდებულ არქიტექტურულ ნაგებობას. თელეთის მაღლობზე რომ წამოუჭიმავთ და ამაყად გადაჰყურებს მიდამოს. ბედნიერების სასახლეს უწოდებენ მას, საქართველოს კოოპერატორებმა საჩუქრად რომ მოუშზადეს თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს.

მაინც რა მიზანს ემსახურება, ან ასე საგულდაგულოდ რად მოურთავთ ეს სასახლე?.

მას მთლიანად მხოლოდ მაშინ აღიქვამთ, როდესაც ოთხივე სართულის დარბაზების კარს შეაღებთ და მიმოიხედავთ. ეს არც რესტორანია, არც სასადილო და, მით უმეტეს, არც სასაუზმე, რომლებიც ადრეულ პერიოდში სოკოებივით რომ იყო მომრავლებული.

დრო გადაიდა, ჯანსაღი კლიმატისათვის გაჩაღებული ბრძოლის ფონზე მოდური რესტორანმანიაც გაქრა, მაგრამ ყოველივე ეს როდი ნიშნავდა, თითქოს ხალხის ცხოვრებაში დამკვიდრებული კარგი ტრადიციებისათვის, ბედნიერების დღეებად რომ არის აღიარებული, ზურგი უნდა შეგვექცია. ასეთთა რიგებს განეკუთვნება ოჯახის დაფუძნება, ზოგჯერ ჩვეულებრივი, ზოგჯერ „ვერცხლისა“ და ზოგჯერ „ოქროს“ ქორწილები, დღეობები, კურსდამთავრებულთა საღამოები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი რამ. საჭირო გახდა მომსახურების ახალი კომპლექსის შექმნისათვის ზრუნვა, რაც გულისხმობს ზომიერ მოლხენას, კულტურულ დასვენებას, მხიარულებას. საქმისათვის ხორცის შესხმა კოოპერატორებმა ითავეს და აი, იგი სინამდვილედ იქცა.

ვათვალიერებთ ფართო, ნათელ და გემოვნებით მორთულ დარბაზებს. მეოთხე სართულის დარბაზი განკუთვნილია ბანკეტებისათვის, მესამისა — ქორწილებისათვის. ეროვნულ დარბაზს იხილავთ მეორე სართულზე, პირველი კი დათმობილი აქვს კოქტეილბარს.

—დიდი ხანი არ არის, რაც ბედნიერების სასახლე მწყობრში ჩადგა. — გვიამბობს მისი დირექტორი გ. ნაცვალაძე, — რა თქმა უნდა, საზეიმო სუფრებისა და ქორწილების ოჯახში მოწყობა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ხარჯიც არანაკლებია. ჩვენი მიზანიც სწორედ ის არის,, რომ ადამიანებს შევუმსუბუქოთ შრომა, დავცვათ ქორწილების რიტუალი, რათა ბედნიერების ეს დღე სამუდამოდ დაახსომდეთ "დაქორწინებულთ. უკვე გვჭონდა ასეთი ქორწილი. მორიგი ზეიმი გათვალისწინებულია შაბათ-კვირისათვის, წინასწარ ჩაწერილები კი ცოტანი არ არიან. შედგენილი გვაქვს ქორწილის მენიუს რამდენიმე ვარიანტი, ფასები ხელმისაწვდომია, პროდუქტები კი ახალი, უმაღლესი ხარისხისა. გარდა ქორწილისა, ჩვენთან აღინიშნება სხვადასხვა საოჯახო ზეიმები, მაგალითად, ამ დღეებში თავიანთ თანაკლასელებთან ერთად აქ დაბადების დღე იზეიმა მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ქალთა შორის მ. ჩიბურდანიძემ.

გარდა შაბათ-კვირისა თუ რით არის დასაქმებული სასახლე, ვის ან როდის მოემსახურება კოქტეილბარი, აგრეთვე მეორე სართულზე განლაგებული ეროვნული დარბაზი, ამ საკითხზე დირექტორი რატომღაც ენაძუნწი გამოდგა, საქმე კი კონკრეტულობას, გადაჭრას მოითხოვს.

მთავარი მაინც გაკეთებულია — გვაქვს ჩინებული ბედნიერების სასახლე, სწორედ ისეთი, სტუმრისაც რომ გაუხარდება და მასპინძელსაც. მოდით ნახეთ ქორწილი თელეთში.

Თ. ᲒᲐᲒᲔᲚᲘᲐ.



„ᲛᲪᲘᲠᲔ“ არქიტექტურული ფორმები, შეიძლება ითქვას, ჩვენი დიდი საქალაქო-სამშენებლო მეურნეობის ყველაზე სუსტი რგოლია. ქუჩის ავეჯი, სხვადასხვაგვარი კიოსკები, ფარდულები, პავილიონები, სატრანსპორტო კაბინრებები, ჩვეულებრივ, ყოველგვარ ესთეტიკურ საწყისს მოკლებული დროებითი ნაგებობები ან ცუდი გემოვნებით შესრულებული გაუმართლებელი „დამშვენების“ ნიმუშებია“.

ამას გულისტკივილით ამბობს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვლადიმერ ტოლსტოი წერილში „არქიტექტურული ფანტაზიები“, რომელიც ჟურნალ „დეკორატივნოე ისკუსტვო სსსრ-ის“ გასული წლის მეათე ნომერში დაიბეჭდა.

ავტორმა ტყუილად როდი წარუძღვარა ეს წუხილი თავის წერილს, რადგან ყოველგვარ საქმეში, — აღნიშნავს იგი, — მთავარია არა დასახული ამოცანის სიდიდე, არამედ მისადმი შემოქმედებითი მიდგომაა. და აი ვლ. ტოლსტოი აღტაცებას ვერ ფარავს, როცა ვრცლად მიმოიხილავს ქართველ მხატვართა და არქიტექტორთა ჯგუფის (საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრები ზ. კაპანაძე, ზ. ლეჟავა, ნ. მალაზონია, საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი გ. ჩახავა — ხელმძღვანელი, არქიტექტორები ზ. ჯალაღონია, ი. ბინიაშვილი, გ. ბერიძე, რ. ბულია, მშენებლები გ. გოგოლაძე, გ. ხასია) მიერ გაგრა-ბიჭვინთის გზატკეცილზე შექმნილ ავტოპავილიონთა კომპლექსს.

ეს არის ქართული ხალხური ზეპირსიტყვაობისა და ოქროს საწმისის თქმულების ეპიზოდებით მოხატული გლეხური სახლები, ე. წ. ზოომორფული ნაგებობები, რომლებიც, ავტორის თქმით, „დიდებულად ერწყმიან ლანდშაფტს,“ შორეული მთების მოქნილ რიტმს, ხეთა გაშლილ ვარჯებს“, და რომლებიც, უბრალოდ, გზატკეცილის საინტერესო დეკორატიულ ღირსშესანიშნაობას, ტურისტთა თავშესაქცევი კი არა, კონსტრუქციული და ტექნიკური ჯადოებს თავისი განუმეორებლობით“... თავისი დანიშნულებით ყველა ნაგებობა მოსახერხებელი და მიზანშეწონილია მოცემული ადგილისათვისო — ქებას არ იშურებს რეცენზენტი კომპლექსის შეფასებისას. ამასთან იგი ხაზგასმით აღნიშნავს: „განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მხატვარ-მონუმენტალისტთა მონაწილეობის გამოცდილება“, რომლებმაც პავილიონების გასაფორმებლად და მოსახატავად გამოიყენეს ფერთა შეხამების სრულიად ახალი და პერსპექტიული ტექნიკა, წინათ რომ მხოლოდ უბრალო და ეკონომიკური სამშენებლო მოპირკეთებისათვის იხმარებოდა.

„ესთეტიკური შესაძლებლობანი, — წერს ვლ. ტოლსტოი, — რომლებიც შეიძლება მივიღოთ ამ ტექნიკიდან, როცა ერთმანეთს ვუხამებთ სხვადასხვა ფერის გრანულებს და ვახდენთ მათი თერმული დამუშავების რეჟიმების ვარირებას, უზარმაზარია. სწორედ ეს დაამტკიცეს თავიანთი ნამუშევრით ქართველმა არქიტექტორებმა და მხატვრებმა... მათ აჩსებთან ახალი სახით აღორძინების გზაზე დააყენეს საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი და უკეთესმობლესი ტექნიკა — ტიხრული მინანქარი და ამასთან არა მინიატურული, არამედ მონუმენტური ნაშუშევრებისათვის“.

და სრულიად სამართლიანად, ავტორი შეშფოთებულია იმის გამო, რომ უძველესი ქართული მომინანქრების ტექნიკა, რომელსაც ახალ სიცოცხლეს ანიჭებენ არქიტექტორები და მხატვრები და ასეთ დიდ პერსპექტივებს რომ ქმნის კედლის ფერწერისათვის „სახელგატეხილი და გაუფასურებული არ აღმოჩნდეს მომავალში ეპიგონებისა და ხელოსნების მიერ“.

□



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: ავტოგაჩერებები „კატა“ (ზემოთ) და „რვაფეხა“.

გზატკეცილზე გაცოცხლებული ზღაპარი

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ტკივილზე გამარჯვება

ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ მუდამ ზრუნავდა და იბრძოდა ტკივილის წინააღმდეგ. 2400 წლის წინათ მედიცინის მამამთავარი ჰიპოკრატე წერდა: „ღვთაებრივი ხელოვნებაა ტკივილების მოსპობაო“.

ადამიანის შეგნებაში სიტყვა „ოპერაცია“ ყოველთვის დაკავშირებული იყო ტკივილის აზრთან. ტკივილი რეცეპტორების ძლიერი გაღიზიანების შედეგად წარმოიშობა.

ყოველგვარ ძლიერ მტკივნეულ გაღიზიანებას თან სდევს ორგანიზმის ძლიერი რეაქცია.

ამ სამი ათეული წლის წინათ დიდი ფრანგი ქირურგი ლერიში ამბობდა: „ოპერაცია იხსნის ხოლმე ავადმყოფს გზებით, რომლებმაც შეიძლება იგი მოკლას“. ყოველგვარი ოპერაციული ჩარევა იწვევს ბიოქიმიურ ქარიშხალს, რასაც შეიძლება ვერ გაუძლოს ორგანიზმის დაცვითმა მექანიზმებმა და ავადმყოფი დაღუპოს ტკივილით გამოწვეული შოკისაგან.

ამიტომ ტკივილის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი მოსპობა სიცოცხლისათვის ბრძოლაა. ტკივილის გაყუჩების პრობლემებს შეისწავლის მედიცინის ახალი დარგი ანესთეზიოლოგია, რომლის გარეშე ქირურგიაში მუშაობა წარმოუდგენელია.

კითხვაზე, თუ ვინ აკეთებს ოპერაციას, მკითხველთა ახლოლუტური უმრავლესობა უპასუხებს, — „რა თქმა უნდა ქირურგი“. სადღეისოდ ეს პასუხი ზუსტი, ან უფრო სწორად სრული არ არის.

უეჭველია, რომ ქირურგი მთავარი ფიგურაა საოპერაციო მაგიდასთან, იგი დირიჟორობს ოპერაციის მიმდინარეობას, მაგრამ ამასთან ერთად თანაბარი უფლებით იბრძვის ანესთეზიოლოგიც.

გაუტკივარების ახალი ერა იწყება 1846 წლიდან, როდესაც მსოფლიოში პირველად ამერიკელმა უილიამ მორტონმა 20 წლის ახალგაზრდა მხატვარს ჯილბერ ებოტს მისცა ეთერის ნარკოზი, ხოლო ქირურგმა ჯონ უორენმა წარმატებით ამოუკვეთა მას თანდაყოლილი სიმსივნე კისრის მიდამოდან. შოტლანდიელმა ქირურგმა და მეანმა პროფესორმა ჯემს სიმფსონმა 1847 წელს წარმატებით გამოიყენა ქლოროფორმის ნარკოზი. მან მსოფლიოში პირველად უმტკივნეულოდ ამშობიარა ინგლისის დედოფალი ვიქტორია. რუსეთსა და საქართველოში პირველად ეთერის ნარკოზი როგორც ქლინიკაში, ისე საველე პირობებში გამოიყენა რუსული ქირურგიის მამამთავარმა ნ. ი. პიროგოვმა. იგი საყოველთაოდ აღიარებული პირველი მეცნიერ-ანესთეზიოლოგია მსოფლიოში.

წინათ ღრმა ნარკოზი (ეთერით, ქლოროფორმით) მავნე გავლენას ახდენდა ნერვულ სისტემაზე, გულზე, ღვიძლზე, თირკმლებზე და სხვა ორგანოებზე. ამიტომ ექიმები შეუპოვრად ეძებდნენ ისეთ ნივთიერებას, რომელიც ადამიანის დაუძინებლად სხეულის განსაზღვრულ მიდამოში ადგილობრივად გამოიწვევდა გაუტკივარებას. ეს წლად ხვდა ავსტრიელ ოფთალმოლოგს, პროფესორ კოლერს და რუს ოფთალმოლოგ ი. კაკაუროვს, რომლებმაც 1884 წელს თვალის ოპერაციების დროს ზედაპირული ანესთეზიისათვის გამოიყენეს კოკაინის ხსნარი. ნაკლებად ტოქსიკური ნივთიერების — ნოვოკაინის (1905 წ.) აღმოჩენამ საშუალება მისცა ქირურგებს გულმოდგინედ დაემუშავებინათ ადგილობრივი ანესთეზიის სხვადასხვა სახე და ფართოდ დაენერგათ პრაქტიკაში. იგი დღესაც ფართოდ გამოიყენება მცირე ოპერაციების დროს.

ამიტომ, ამჟამად, მთელ მსოფლიოში უპირატესობა ნარკოზს ეძლევა, რომელიც გამოცდილი ანესთეზიოლოგის ხელში სრულიად უსაფრთხოა.

ბავშვისა და მოხუცისათვის გაუტკივარების ერთი და იგივე მეთოდით ოპერაციის ჩატარება დაუშვებელია.

ანესთეზიოლოგები გაუტკივარების მეთოდის შერჩევისას მხედველობაში იღებენ ავადმყოფის საერთო მდგომარეობას, დაავადების სიმძიმეს, ავადმყოფის ნერვულ სისტემას და სხვ.

უკანასკნელ ხანებში ანესთეზიოლოგიაში გამოყენებული მეთოდები ოპერაციების დროს სისხლის დანაკარგს მინიმუმამდე ამცირებს. ეს განსაკუთრებით შეეხება ჰიპერტონიით შეპყრობილ ავადმყოფებს.

თანამედროვე ანესთეზიოლოგიის მიღწევებმა საშუალება მისცა ქირურგებს, უმძიმესი და ურთულესი ოპერაციები გაკეთონ უმტკივნეულოდ და სასიცოცხლო ფუნქციების დაურღვევლად. ამიტომ შეიძლება ხატოვნად ვთქვათ, რომ ანესთეზიოლოგი სანთელივით იწვის და სხვისთვის სიხარული და ბედნიერება მოაქვს.

Გ. ᲪᲐᲜᲐᲕᲐ,
საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ანესთეზიოლოგი, პროფესორი.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში

ᲡᲡᲡᲠ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის სქემთა სასამართლო კოლეგიამ ღია სხდომაზე განიხილა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის ს. ს. ზატიკიანისა და მისი ორი თანამზრახველის სისხლის სამართლის საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ის, რომ 1977 წლის იანვარში მოსკოვის მეტროპოლიტენის ვაგონში მოახდინეს აფეთქება, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. სასამართლო გარჩევის დროს მოწმეთა ჩვენებებით. ექსპერტიზების დასკვნებითა და სხვა მასალებით საეჭვო დამტკიცდა განსასჯელთა დანაშაული. ზატიკიანისა და მის თანამზრახველთა მიესაჯათ სასჯელის განსაკუთრებული ზომა — სიკვდილი. განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
Გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲧᲐᲠᲐᲯᲘ

ᲜᲘᲭᲗᲐᲜ ᲨᲔᲠᲬᲧᲛᲣᲚᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

ᲜᲐᲜᲐ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲠᲙᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲝᲡ ᲛᲒᲚᲝᲑᲔᲚᲘᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲔᲥᲡ-ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲘᲡ მიხეილ ბოტვინიკის ნორჩ მოჭადრაკეთა სკოლაში აღიზარდა ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ახლანდელი ჩემპიონი ანატოლი კარპოვი. ბოტვინიკის სკოლაში სწავლობს ახლა უკვე ევროპის თასის ორგზის მფლობელი გოგონათა შორის ნანა იოსელიანი. როცა ნანამ პირველად მოიპოვა ეს წოდება, ბოტვინიკმა ერთ-ერთ ინტერვიუში შენიშნა: „...მე ძალიან მოგწონს, როცა მას ყოველთვის სადად ჩაცმულს ვხედავ. ესე იგი მისთვის მთავარი მოდა კი არ არის, არამედ ჭადრაკი. ჭადრაკის სიყვარული ნიჭთან შერწყმული წარმატების საწინდარია. ნანა სადად თამაშობს და ჩემი აზრით, სწორედ ამის წყალობით, — უფრო დამაჯერებლად. საერთოდ ხისადავეშია სწორედ ძალა!“ და აი, ნანამ კიდევ გაგვახარა: იუგოსლავიის ქალაქ კულაში დამთავრებული ევროპის თასის გათამაშებაში მან ყველას გაუსწრო, საპატიო ჯილდოს მეორედ დაეუფლა. მაშასადამე, ნიჭთან შერწყმულმა ჭადრაკის სიყვარულმა კვლავ გაიმარჯვა.

წუხელ ღამით რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ქ. კულას. როგორც თვითონ ნანამ გვაცნობა, ბოლო, მეცხრე ტურის პარტია რუმინელ მ. პოგორეეიჩთან ყაიმით დაამთავრა, სამოლოდ 7,5 ქულა დააგროვა და ყველა მეტოქე უკან ჩამოიტოვა. აღსანიშნავია, რომ მას ამ ტურნირში ერთი პარტიაც არ წაუგია.

ნიჭიერ გოგონას ვულოცავთ ახალ და მნიშვნელოვან გამარჯვებას!

ᲓᲐᲣᲛᲐᲠᲪᲮᲔᲒᲚᲐᲓ

ᲕᲔᲘᲯ-ᲐᲜ-ᲖᲔᲔᲨᲘ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში, რომელშიც 7,5 ქულით პირველი. პრიზი საბჭოთა დიდოსტატმა ლევ პოლუგაევსკიმ მოიპოვა. ბოლო ტურში მან კუბელი დიდოსტატი გილერმო გარსია დამარცხა. პოლუგაევსკიმ 11 პარტიიდან 4 მოიგო, ხოლო 7 ყაიმით დაამთავრა.

ტურნირის მონაწილე ერთადერთმა ქალმა, ნონა გაფრინდაშვილმა 3,5 ქულა დააგროვა.

ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲞᲐᲘᲙᲘᲗ

ᲒᲐᲥᲝᲕᲘ გრძელდება ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკე ვაჟთა საკავშირო პირველობა. მეექვსე ტურში ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ გადაიყვანა პარტია ალმაათელ ე. ვლადიმიროვთან. მაიას ზედმეტი პაიკი აქვს. გადაიყო თბილისელი ზ. სტერუას და ლვოველი ლ. ზაიდის პარტიაც. რაც შეეხება მესამე თბილისელს — გ. ზაიჩიკს, იგი დამარცხდა ივანოვოელ ა. ხარიტონოვთან ზეხვედრაში. ტურნირს 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ ზ. ლანკა (ლატვია) და ს. ფსახისი (კრასნოიარსკი).

ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓ

ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ქალაქ ზაგრებში გათამაშდა ევროპის ჩემპიონატის მედლების მეორე კომპლექტი ფიგურულ ციგურაობაში. ვაჟთა შორის ევროპის სამგზის ჩემპიონმა იან ჰოფმანმა (გდრ) კვლავ ყველას აჯობა და მეოთხედ მოიპოვა კონტინენტზე უძლიერესის სახელი. მოსკოველმა ვლადიმერ კოვალიოვმაც მეოთხედ მოიპოვა მეორე სპარზო ადგილი. შესამე ადგილი წილად ხვდა ინგლისელ რობინ კაზინსს.

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ კიევში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური. თბილისის დინამოელები შეხვდნენ გათამაშების ერთპირიანულ ლიდერს ცსკაკ და დამარცხდნენ ანგარიშით 82:107 (36:44).

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲔᲜᲝᲗ

□ 5 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — მულტიკაციური ფილმი, 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შემსწავლელთათვის — ბიოლოგია, 18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფერდინანდი და გარეული ცხოველები“ (ფერადი), 18.35 — „დეპუტატობის კანდიდატები“ — ეთერ დადიანი, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „ხუთწლედი — წელი მეოთხე“ (მოსკოვიდან), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30 — გადაცემა ციკლიდან „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. ანსამბლი „სმერიჩკა“ (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „მხოლოდ ორნი“.

□ 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „როლი“, „ნიღაბი“ და „ესაა ჩვენი ცხოვრება“, 19.05 — „ათეისტის ტრიბუნა“, 19.35 მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — მუსიკალური გადაცემა „ჩემს ცხოვრებაში იყო რევოლუცია და იყო მოცარტი“ (ფერადი), 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — „ᲜᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — „ოიდიპოს მეფე“ (ფერადი).

□ 7 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ გერმანული ენა, 18.05— მულტიპლიკაციური ფილმები, 18.45 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.00 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — სერგო ქობულაძე, 19.30 — „ᲜᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — უკრაინის რუსეთთან შეერთების 325-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტის ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), — საზეიმო კონცერტის ტრანსლაციის გაგრძელება საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან.

□ 8 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00—„ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — უმცროსკლასელთათვის. ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენას, 18.05— დოკუმენტური ფილმი „ქალაქი და გარემო“ (ქართულ ენაზე), 18.25 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (მოსკოვიდან), 19.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიწისქვეშა სასახლე“ (ფერადი), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“. ხუტა ბერულავა (ფერადი), 20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ხაბაროვსკი“, 21.00 — „ᲜᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „არღანი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „მღვერის დიმიტრი მეშედლიძე“ (ფერადი), 23.10 — ჰოკეი. საბჭოთა კავშირი-კანადა (მოსკოვიდან).

□ 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სოფლის საპატარძლოები“ (ფერადი), 17.00—უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ფრანგული ენა, 18.05 — მულტიკაციური ფილმი, 18.15 — ვიდეოფილმი „ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ“, 18.45 — „ᲛᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 18.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — ბიოლოგია, 18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფერდინანდი და გარეული ცხოველები“ (ფერადი), 18.35 — „დეპუტატობის კანდიდატები“ — ეთერ დადიანი, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — წელი მეოთხე“ (მოსკოვიდან), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.30 — გადაცემა ციკლიდან „მოძმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“. ანსამბლი „სმერიჩკა“ (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „მხოლოდ ორნი“.

□ 6 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსწავლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შევისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „როლი“, „ნიღაბი“ და „ესაა ჩვენი ცხოვრება“, 19.05 — „ათეისტის ტრიბუნა“, 19.35 მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მოსკოვიდან), 20.00 — მუსიკალური გადაცემა „ჩემს ცხოვრებაში იყო რევოლუცია და იყო მოცარტი“ (ფერადი), 20.50 — კინოჟურნალი, 21.00 — „ᲜᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — სპორტული მიმოხილვა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „წარდგენილია რუსთაველის პრემიაზე“ — „ოიდიპოს მეფე“ (ფერადი).

□ 10 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 10.05 — „ბავშვებს ცხოველების შესახებ“ (ლენინგრადიდან), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.05 — შევისწავლოთ ქართული ენა (ფერადი), 11.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — დოკუმენტური ფილმი „სურათები, წლები...“, 12.20 — „დილის ფოსტა“—მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 12.50 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „კარები“ და „ბორანი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საესტრადო კონცერტი „ჩვენი სტუმრები“ (ფერადი), 23.00 — საერთაშორისო შეხვედრა ჰოკეში. ჰოკეის ეროვნული ლიგისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. (ტრანსლაცია ნიუიორკიდან).

□ 11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი „ახალგაზრდული ეუნის სასიყვარულო ქრონიკა“, 10.00 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფერადი), 10.30 — „ᲛᲐᲒᲘᲫᲐᲠᲐ“ (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე. (ფერადი), 11.50 —კინოჟურნალი, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — მხატვრული ფილმი „თოვლის დედოფალი“ (მოსკოვიდან), 13.30 — ტელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 14.00 — „კინოადფიშა“, 14.30 — „მუსიკალური კიოსკი (მოსკოვიდან), 15.00 — ეურნალ „დილის“ იუბილე (ვიდეოჩანაწერი), 16.30 — „ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — წელი მეოთხე“, 17.15 — „დეპუტატობის კანდიდატები“ ნინო ჯავახიშვილი, 17.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 19.45 — კონცერტი, 20.15 — „კინომოგზაურობის კლუბი“ (მოსკოვიდან), 21.15 — „ᲛᲝᲛᲑᲔ“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.45 — უფროსებისათვის — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის).

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

5-11 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

3 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტრადიციების ერთგულნი“, 10.05 — „შევისწავლოთ ქართული ენა“ (ფერადი), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.05 — „ბურატინოს გამოფენა“ (მოსკოვიდან), 11.35 — დოკუმენტური ფილმი „ჰაერის დაცვა ნავთობის პროდუქტებისაგან“ (ქართულ ენაზე), 11.55 — კინოჟურნალი, 12.05 — „დილის ფოსტა“ (მოსკოვიდან), 12.35 — ქართული